საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

მზადება დღით ადრე ბაზრის გაშვებისათვის

2021 წლის 6 თვის ანგარიში

ანგარიში წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის მიერ 2021 წლის პირველი იანვრიდან პირველი ივლისის მდგომარეობით განხორციელებული აქტივობების მიმოხილვას.

ანგარიში მიზნად ისახავს სენბის არსებული პროგრესის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას დაინტერსებული პირებისთვის.

ვქმნით ახალ შესაძლებლობებს!

www.genex.ge

გენერალური დირექტორის მიმართვა

ძვირფასო მკითხველო,

კიდევ ერთხელ მაქვს პატივი, მოგესალმოთ და წარმოგიდგინოთ სენბის გუნდის მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში.

წინა ანგარიშში თქვენ შესაძლებლობა გქონდათ, გაცნობოდით სენბის გასული 1 წლის საქმიანობის ანგარიშს. მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ელექტროენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე ამ რთული და კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, სენბის გუნდმა შეძლო მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის მოდელის კონცეფციაში 2021 წლის 31 მაისს განხორციელებული ცვლილებით საათობრივ ვაჭრობაზე გადასვლა 6 თვით გადავადდა, ჩვენმა გუნდმა მაქსიმუმი გააკეთა იმისთვის, რომ დათქმულ დროში შეგვესრულებინა ყველა ის ვალდებულება, რომელიც ბაზრის მოდელის კონცეფციით და მარეგულირებელი კომისიის სამართლებრივი აქტებით დაგვეკისრა, და, შესაბამისად, საათობრივ ვაჭრობაზე გადასვლას მომზადებული შეხვედროდენ როგორც ბირჟის მონაწილეები, ასევე ყველა ის სისტემა, რომელიც აუცილებელია ახალი ბაზრის მოდელში ეფექტიანი მონაწილეობისათვის.

წინა წლისაგან განსხვავებით, გასული 6 თვე პირველ რიგში იმით იყო გამორჩეული და მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორთან ერთად, დავიწყეთ ორგანიზებული ბაზრის ყველა სეგმენტის ერთობლივი ტესტირება. ამ წლის აპრილამდე ორგანიზებული ბაზრებისა და გადამცემი სისტემის ოპერატორები დამოუკიდებლად ახდენდნენ მათი სისტემების ტესტირებას, ასევე, მონაწილეთა შესაძლებლობების გაძლიერებას. აპრილიდან დაწყებულმა ერთობლივმა ტესტირებამ მოიცვა ყველა ზემოაღნიშნული სეგმენტი/პროცესი და მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ, ჩართულიყვნენ ბაზრის ყველა სეგმენტზე და სატესტო რეჟიმში გამოეცადათ საკუთარი შესაძლებლობები ბაზრის ახალი მოდელის პირობებში.

თავისთავად პროცესი ძალიან საინტერესოდ წარიმართა – ბაზრის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ –ვაჭრობის სრულ ციკლში და დაენახათ ბაზრის ახალი მოდელის შესაძლებლობები და გამოწვევები. ამავდროულად, ერთობლივმა ტესტირებამ ბაზრის ოპერატორებს შესაძლებლობა მოგვცა, მოგვეხდინა ტექნიკური ხასიათის ხარვეზების იდენტიფიცირება და დროული აღმოფხვრა. შედეგად, ორგანიზებული ბაზრის ორივე სავაჭრო პლატფორმა დაკავშირებულია ერთმანეთთან და შეუფერხებლად ხდება ინფორმაციის მიმოცვლა.

ერთობლივ ტესტირებასთან ერთად, ჩვენ ასევე დავიწყეთ მონაწილეთა სერტიფიცირება, რომლის მიზანია საკმარისი კვალიფიკაციის პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა ბირჟაზე ვაჭრობის პროცესში. სწორად დაგეგმილი და განხორცილებული სერტიფიცირების პროცესის შედეგად, დღეისათვის უკვე 70 კვალიფიციური სავაჭრო წარმომადგენელია ბაზარზე, რაც საკმარისი წინაპირობაა ბაზრის შეუფერხებელი ამოქმედებისათვის. წინამდებარე ანგარიშში სრულადაა ასახული როგორც გასული 6 თვის საქმიანობის ანგარიში, ასევე მომდევნო 6 თვის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები, რომელიც ძირითადად ბაზრის მონაწილეების შესაძლებლობების განვითარებასა და გაძლიერებაზეა ორიენტირებული – გაგრძელდება ერთობლივი ტესტირებების პროცესი, ჩატარდება დამატებითი ტრენინგები და საკვალიფიკაციო გამოცდები ბაზრის მონაწილეებისათვის და, იმედი მაქვს, კიდევ უფრო მეტი დაინტერესებული პირი ჩაერთვება ამ პროცესში. ასევე, დარჩენილ დროში ვეცდებით, რომ მაქსიმალურად დავხვეწოთ არსებული სამართლებრივი ბაზა და ტესტირების პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე სრულყოფილი პასუხები ავსახოთ ბაზრის წესებში.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი ინტერესისთვის!

ბირჟის რეგულირება

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟისთვის, როგორც დღით ადრე და დღიური ბაზრების ლიცენზირებული ოპერატორისთვის, ერთ-ერთ მთავარ სახელმძღვანელო მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები. 2020 წლის 1 ივლისიდან მიმდინარე დღით ადრე ბაზრის სატესტო რეჟიმიდან დაგროვილი გამოცდილებით, ბაზრების პოტენციურ მონაწილეებთან უწყვეტი კომუნიკაციითა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ბირჟის ოპერატორმა კომისიას წარუდგინა ბაზრის წესებში ცვლილების პროექტი, რომელიც ძირითადად ეხებოდა რეგისტრაციის პროცესისა და სხვა პროცედურული საკითხების დაზუსტებას.

ბაზრის წესების ცვლილებების პროექტი დამტკიცდა კომისიის 2021 წლის 24 ივნისის №18 დადგენილებით.

“ელექტროენერგიის სექტორში განსახორციელებელი გარდამავალი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 12 ნოემბერის N58 დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულების გათვალისწინებით, დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების საფუძველზე, შემუშავდა და კომისიას დასამტკიცებლად წარედგინა:

- ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე მონაწილედ რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმა (დამტკიცდა კომისიის 2021 წლის 10 ივნისის №26/1 გადაწყვეტილებით);
- ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე ელექტროენერგიის ფასის, რაოდენობისა და განაცხადების რაოდენობის ტექნიკური ზღვრები (შეთანხმებულ იქნა კომისიის 2021 წლის 10 ივნისის №26/4 გადაწყვეტილებით);
- ლიკვიდურობის ხელშეწყობის თაობაზე ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და მონაწილეთა შერჩევის პროცედურა (ამ ეტაპზე არ არის დამტკიცებული კომისიის მიერ).

ბაზრების ეფექტიანი და შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბირჟის ოპერატორის როგორც შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტებს, ასევე მომხმარებლების მიერ გამოსაყენებელ ინსტრუქციებს. გამომდინარე აქედან, შემუშავდა:

- **სავაჭრო პლატფორმის მომხმარებლის გზამკვლევი** – პლატფორმით სარგებლობის ინსტრუქცია ბირჟის მონაწილეებისათვის, რომელიც შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე და, ასევე, მოიცავს ვიდეო ინსტრუქციას. გზამკვლევი გამოქვეყნებულია სენბის ვებგვერდზე;

- **ფინანსური კლირინგისა და ანგარიშსწორების გზამკვლევი** – შედგენილია ქართულ ენაზე და გამოქვეყნებულის სენბის ვებგვერდზე. უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ინგლისური ვერსია;

- **სავაჭრო პლატფორმის შიდა ინსტრუქცია ბირჟის ოპერატორისათვის;**

- **შიდა პროცესების ავტომატიზაციის კონცეფცია** – ითვალისწინებს ერთიანი ცენტრალური მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელიც სხვადასხვა აპლიკაციების გამოყენებით შესაძლებელს გახდის ვაჭრობასთან დაკავშირებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის, საბანკო ტრანზაქციების ავტომატიზაციას. ამავდროულად, მონაცემთა ბაზა იქნება ბაზრის მონიტორინგისა და ინფორმაციის გამოქვეყნების/ანგარიშგებისათვის ინფორმაციის პირველადი წყარო. ამჟამად, აღნიშნული კონცეფციის განხორციელების მიზნით, მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები;

- **შიდა ინფორმაციის გამოქვეყნების პლატფორმის კონცეფცია** – ენერგეტიკული ბაზრების მონიტორგინის წესით სენბის დაევალა მონაწილეთათვის შიდა ინფორმაციის გამოქვეყნების შესაძლებლობის მიცემა. აღნიშნულის მიზნით შემუშავდა შესაბამისი პლატფორმის კონცეფცია/ტექნიკური დავალება. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისათვის;

- **ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკა** – სენბიში თავს იყრის კომერციულად მგრძნობიარე ინფორმაცია, ასევე, პერსონალური ინფორმაცია, რომლის დაცვა, განსაკუთრებით დღევანდელ რეალობაში, როდესაც კიბერდანაშაული სერიოზული გამოწვევაა, ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია და არის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ნაწილი; პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება დაგეგმილია დღით ადრე ბაზრის გაშვებამდე;

- **ბაზრის ზედამხედველობის პოლიტიკა** – მონაწილეთა ქცევაზე დაკვირვება ბაზრის ოპერირების შემადგენელი ნაწილია და მისი მიზანია გამოვლენილ იქნეს ბაზარზე მანიპულაცია და მისი მცდელობა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბირჟაზე, რომლის ფასიც საორიენტაციოა არამხოლოდ ელექტროენერგიის ბაზრის სხვა სეგმენტების, არამედ ენერგიის დერივატივების ბაზრისთვისაც. ბაზრის ზედამხედველობის პოლიტიკა აფასებს ძირითად რისკებს და აწესებს ბაზრის ზედამხედველობის პროცესში გასათვალისწინებელ პროცედურებს;

- **სენბის შიდა პორტალის კონცეფცია** – გარდა უშუალოდ ვაჭრობასთან დაკავშირებული ოპერაციებისა, შიდა მენეჯერული პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია არსებობდეს შიდა პორტალი. სენბის შიდა პორტალი წარმოადგენს სივრცეს, სადაც თავმოყრილია ყველა ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის საქმიანობასთან და საჭიროა მისი მართვისათვის. პორტალის მეშვეობით ხდება ისეთი პროცესების დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი, როგორიცაა ბიუჯეტის შესრულების და ფულადი ნაკადების კონტროლი, ადამიანური რესურსების მართვა და ტრანსპორტირების მომსახურება, შესყიდვები და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ შიდა პროცესების ავტომატიზაცია არის მხოლოდ უფრო ეფექტიანი ოპერირების წინაპირობა და იგი არ არის დაკავშირებული ბაზრის ოპერირების შესაძლებლობასთან.

2021 წლის აპრილიდან, დღით ადრე და დღიური ბაზრის ოპერატორმა, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრების ოპერატორთან ერთად, დაიწყო ერთობლივი სიმულაციური ვაჭრობების ჩატარება, რაც ნიშნავს ბაზრების ყველა სეგმენტზე ერთდროულ და თანმიმდევრულ ვაჭრობას, ნომინაციების წარდგენას და აღრიცხვის მონაცემების მიღებას. სიმულაცია მიზნად ისახავს დღით ადრე, საბალანსო ბაზრის და აღრიცხვის პროგრამების ურთიერთკავშირების, ინფორმაციის გაცვლის სიზუსტის შემოწმებას, გამოწვეული უბალანსობების ასახვის ტექნიკური შესაძლებლობების შემოწმებას და, ასევე, რეგისტრირებული ბაზრის მონაწილეების პრაქტიკულ ტრენინგს. ერთობლივ სიმულაციაში მონაწილეობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საბალანსო ბაზრის ოპერატორთან დაბალანსების ჯგუფში გაწევრიანება.

სენბიმ უზრუნველყო დღით ადრე ბაზრის სიმულაციაში ნებისმიერი დაინტერესებული პირის ჩართულობა. თითოეულ მათგანს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, ფაქტობრივად ყოველდღიურ რეჟიმში ეგზავნებათ რეფორმის მიმდინარეობასთან, მათ შორის, ბაზრების დანერგვა-გახსნასთან დაკავშირებული სიახლეები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მათ შესაძლებლობა ეძლევათ, მიღონ მონაწილეობა ბირჟის ოპერატორისა თუ სხვა უწყებების პოტენციური მონაწილეებისთვის ორგანიზებულ შეხვედრებში, ტრენინგებში და სასწავლო კურსებში.

სატესტო რეჟიმის შედეგები

უშუალოდ ნორდ პულის დღით ადრე ბაზრის სატესტო პლატფორმაზე რეგისტრირებულია 140-მდე კოპანია და მათი 200-ზე წარმომადგენელი. თითოეულ მათგანს შესაძლებლობა აქვს შეიმუშავოს ვაჭრობის კომერციული სტრატეგია, სავაჭრო პლატფორმაზე განათავსოს განაცხადი, ასევე, გამოსცადოს ფინანსური კლირინგისა და ანგარიშსწორების პლატფორმის ფუნქციონირება.

ჯერ კიდევ 2020 წლიდან, ბირჟის ოპერატორი აწყობდა დღით ადრე ბაზრების ორგანიზებულ ვაჭრობებს ბაზრების სხვა ოპერატორებისგან დამოუკიდებლად, სადაც პლატფორმაზე დარეგისტრირებულ თითოეული მონაწილე სავაჭრო პლატფორმაში განაცხადებს ათავსებდა მისთვის წინასწარ განსაზღვრული როლისა და ამოცანის ფარგლებში, კომერციული სტრატეგიების, მონიტორინგისა თუ ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების უკეთესად გაანალიზების მიზნით. ორგანიზებული ვაჭრობის შედეგების განხილვას ეთმობოდა დამოუკიდებელი შეხვედრები ბაზრის მონაწილეებთან, როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.

2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, სულ ჩატარდა 3 ასეთი გაერთიანებული სავაჭრო სესია, რომელშიც საბალანსო ბაზარზე რეგისტრირებული 40-ზე მეტი მონაწილე იყო ჩართული. თითოეული სიმულაცია შედგება ფიზიკური მიწოდების დღისაგან და მისი ტიპური პროცესი მოცემულია ნახაზი #1-ზე.



ნახაზი #1

ერთობლივ სიმულაციაში მონაწილეობენ ბაზრის ყველა კატეგორიის მონაწილები: მწარმოებლები, მიმწოდებლები, მსხვილი მომხმარებლები, სისტემის ოპერატორები, ტრეიდერები. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ერთობლივ სიმულაციაში დღით ადრე ბაზარზე რეგისტრირებულია 56 მონაწილის 77 პორტფელი. ნახაზი #3-ზე მოცემულია სიმულაციის მიზნით დღით ადრე ბაზარზე რეგისტრირებული პორტფელების განაწილება როლების მიხედვით.

ნახაზი #2-ზე მოცემულია მიმდინარე ერთობლივი სატესტო რეჟიმის ფარგლებში დღით ადრე ბაზრის მონაწილე საწარმოების და მათი პორტფელების რაოდენობა. დღით ადრე ბაზარზე მონაწილეთა რაოდენობა ყოველი მომდევნო ვაჭრობისათვის იზრდება, რაც გამოწვეულია საბალანსო ბაზრის ოპერატორის მიერ საბალანსო ბაზარზე ახალი მონაწილეების დაშვებით, რომელთა უმეტესობა ასევე ითხოვს დაშვებას დღით ადრე ბაზარზე.



ნახაზი #2



ნახაზი #3

ყოველი სატესტო ვაჭრობის შემდეგ კეთდება ვაჭრობის მიმდინარეობისა და შედეგების ანალიზი, რომელიც თავდაპირველად იხილება სენბისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის სამუშაო ჯგუფში, ხოლო შემდგომ – ბაზრის მონაწილეებთან. სენბი მონაწილეებს აცნობს სატესტო ვაჭრობის შედეგებს, ასევე მიზეზებს, რამაც გავლენა იქონია საბაზრო ფასის ჩამოყალიბებაზე. გარდა ბაზრის განზოგადებული შეფასებისა, კონკრეტული მონაწილის იდენტიფიცირების გარეშე, ხდება საეჭვო/ხარვეზიანი განაცხადების დეტალური განხილვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ბაზრის ოპერატორების გარდა, შეხვედრებს ესწრებიან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლები, რომლებიც, როგორც ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის განმახორციელებლები, მონაწილეებს აცნობენ მონაწილეთა ქცევის შეფასების ამ სფეროში მიღებულ პრაქტიკას. აღნიშნული ფორმატი მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, დასვან კითხვები და იმსჯელონ კომისიასთან ერთად ბაზრების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც მონიტორინგის ახალი პრაქტიკა პირველად ინერგება საქართველოში.

სატესტო რეჟიმის მიმდინარეობისას, ყოველ მომდევნო ეტაპზე ცხადი იყო მონაწილეთა პროგრესი. თუკი საწყის ეტაპზე სენბის სავაჭრო ოპერაციების ოფიცრებს ხშირად უწევდათ მონაწილეთა დახმარება განაცხადის განთავსებაში და განთავსებული განაცხადები, უმეტეს შემთხვევაში, არ ასახავდა მონაწილეთა რეალურ ინტერესს, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აღნიშნული ხარვეზები თითქმის სრულად იქნა აღმოფხვრილი – მონაწილეებს შეუფერხებლად შეუძლიათ პლატფორმაზე განაცხადების განთავსება და თითქმის ყველა განაცხადი სრულად ასახავს მონაწილის რეალურ ინტერესს. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს წარმატებით შეუძლიათ მათი სურვილის შესაბამისი განაცხადების პლატფორმაზე განთავსება, გამოწვევად რჩება განაცხადს მიღმა ეკონომიკურად გამართლებული სავაჭრო სტრატეგიების ჩამოყალიბება.

როდესაც ვსაუბრობთ სატესტო რეჟიმზე, რომელიც თითქმის სრულად ფარავს მთლიან მოთხოვნას და სადაც ყველა მონაწილე დღით ადრე ბაზარზე განაცხადს აკეთებს მომდევნო დღისთვის მისი რეალური პროგნოზების გათვალისწინებით, ჩნდება მოლოდინი, რომ სატესტო რეჟიმში ჩამოყალიბებული ფასი შეიძლება იყოს მომავალში მოსალოდნელი რეალური ფასის ინდიკატორი. სატესტო რეჟიმში მონაწილეთა მოტივაციისა და ქცევის (არ მოყვება რეალური ფინანსური შედეგი, მონაწილეთა ნაწილი არ ამჟღავნებს მის რეალურ სავაჭრო სტრატეგიას და ა.შ.) გათვალისწინებით, სატესტო ვაჭრობებისას ჩამოყალიბებული ფასი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რეალური ბაზრის ფასის ინდიკატორად, რადგან რეალური შედეგი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს მონაწილეთა ქცევის ცვლილების შესაბამისად.

ბაზრის პოტენციური მონაწილეების მზადყოფნა

ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესების მე-13 მუხლის თანახმად, ბირჟაზე ბაზრის მონაწილის სავაჭრო წარმომადგენელს წარმატებით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული ბირჟის ოპერატორის მიერ ორგანიზებული გამოცდა. სენების, როგორც ბირჟის ოპერატორს, ევალება ენერგეტიკულ ბირჟაზე ვაჭრობაში გამოცდის ორგანიზება კომისიის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით.

სენების სერტიფიკაციის სამსახური აცნობიერებს სერტიფიკაციის პროცესში მიუკერძოებლობის მნიშვნელობას, მართავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ობიექტურობას. იმისათვის, რომ სავაჭრო წარმომადგენლების გამოცდებისა და სერტიფიკაციის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებლობა, კომპეტენტურობა, ეფექტიანობა და გამჭვირვალობა, სენბიმ მიიღო გადაწყვეტილება, დანერგოს ISO17024 სტანდარტი - "შესაბამისობის შეფასება - ზოგადი მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ" (სსტ ისო/იეკ 17024 : 2012/ 2012). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სენბიმ ბაზრის მონაწილეებთან კონსულტაციით შეიმუშავა:

- სერტიფიკაციის სახელმძღვანელო;
- სერტიფიკაციის სქემა;
- გამოცდაზე რეგისტრაციის განცხადება;
- გამოცდის წესები;
- საგამოცდო მასალები;
- საგამოცდო ტესტის ნიმუში;
- რესერტიფიკაციის ფორმა;
- საჩივრის ფორმა;
- პრეტენზიის ფორმა;

ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია სენბის ვებგვერდზე. სენბი სავაჭრო წარმომადგენელთა გამოცდის ორგანიზებას ახდენს ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად. სავაჭრო წარმომადგენლების პირველი გამოცდა ჩატარდა 2021 წლის აპრილში. 1 ივლისის მდგომარეობით, სულ გამართულია 3 გამოცდა. ტესტირებები დაორგანიზდა და ჩატარდა COVID-19 პანდემიის გამო ქვეყანაში არსებულ უსაფრთხოების დაცვის რეგულაციებისა და წესების სრული დაცვით. საგამოცდო ტესტები, კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იყო ინგლისურ ენაზე. გამოცდის ჩაბარება შესაძლებელი იყო დისტანციურ რეჟიმში მათთვის, ვინც დასაბუთებული მოთხოვნით მომართავდა სენბის ფიზიკურად გამოცდაზე დასწრების შეუძლებლობის შესახებ.

ამ ეტაპისთვის, საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაზე სავაჭრო წარმომადგენლობის უფლება აქვს 70 პირს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბირჟის ოპერატორმა სავაჭრო წარმომადგენლების სერტიფიკაციის დაწყებამდე მონაწილეებს შესთავაზა ტრენინგ კურსი შემდეგ საკითხებზე:

- ვაჭრობის ეკონომიკური საფუძვლები;
- სამართლებრივი რეგულირება;
- პლატფორმის გამოყენების ინსტრუქცია.

2021 წლის 8 ივნისს საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟამ განცხადებით მიმართა სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს, ბირჟაზე სავაჭრო წარმომადგენლის გამოცდების ორგანიზებისთვის შესაბამისი აკრედიტაციის მიღების მიზნით.



რამდენად გასაგებია დღით ადრე ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობის განსაზღვრისა და ფასწარმოქმნის წესი?



რამდენად გასაგებია ბირჟაზე ელექტროენერგიის ყიდვისა და გაყიდვის შესახებ განაცხადების განთავსების წესი?



რამდენად გასაგებია ბირჟაზე ნავაჭრ ელექტროენერგიაზე ფინანსური ანგარიშსწორების წესი?



რამდენად გეხმარებათ საკითხის გააზრებაში სენბის ტრენინგები და ტრენინგის მასალები?



რამდენად გასაგებია პლატფორმით სარგებლობის ინსტრუქცია?



რამდენად გასაგებია "ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები"?



რამდენად გასაგებია ბირჟაზე ნავაჭრ ელექტროენერგიაზე ფინანსური ანგარიშსწორების წესი?



რამდენად ეთანხმებით დებულებას: "ზოგადად, სენბი საკმარის ყურადღებას უთმობს მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებას და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას"



ნახაზი #4

მონაწილეთა მხრიდან უკუკავშირის მიღების, ასევე, მათთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხების იდენტიფიცირების მიზნით, 2021 წლის მაისში მონაწილეებს შორის ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების საშუალება ჰქონდათ სენბის სატესტო რეჟიმში ჩართულ მონაწილეებს. გამოკითხვით შეფასდა სენბის მიერ ჩატარებული სამუშაოები, ასევე არსებული რეგულაციები. მონაწილეებს ასევე შეეძლოთ დაეფიქსირებინათ, თუ რა მიმართულებით სურდათ მათ შესაძლებლობების გაძლიერება. ნახაზი #4-ზე წარმოდგენილია გამოკითხვის ძირითადი შედეგები. შედეგებიდან გამომდინარე, სენბიმ დღით ადრე და დღიური ბაზრის წესებში, გარდა კონცეფციური ცვლილებებისა, ასევე შეიტანა დამაზუსტებელი ცვლილებები. წესების პროექტი ხელმისაწვდომი იყო მონაწილეთათვის სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, სენბის ვებგვერდზე. ასევე, არაერთი შეხვედრა გაიმართა მარეგულირებელ კომისიაში მიმდინარე საჯარო წარმოების ფარგლებში.

მომდევნო ტრენინგებზე და სატესტო ვაჭრობებში ყურადღება გამახვილდება იმ საკითხებზე, სადაც მონაწილეებს აქვთ შედარებით ნაკლები ცოდნა

გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, სენბიმ დამატებითი ტრენინგი-შეხვედრა უკვე ჩაატარა დღით ადრე ბაზარზე ნავაჭრი ელ. ენერგიის რაოდენობის განსაზღვრისა და ფასწარმოქმნის წესზე.

სატესტო რეჟიმის მიმდინარეობისას სრულად იქნა დატესტილი დღით ადრე ბაზრის სავაჭრო პლატფორმა და ანგარიშსწორების მოდული. განაცხადების განთავსების, საბაზრო ფასის გაანგარიშების, ინვოისების გამოწერის პროცესში ხარვეზები სრულად აღმოფხვრილ იქნა 2021 წლის პირველ კვარტალში და ამ ეტაპზე სატესტო პლატფორმა მუშაობს შეუფერხებლად. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ასევე არ მოველით რაიმე სახის შეფერხებას რეალური პლატფორმის მუშაობაში, რადგან მისი საფუძველი სწორედ სატესტო პლატფორმაა.

საერთაშორისო თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა აქტიურად თანამშრომლობს ენერგეტიკულ გაერთიანებასთან და, პერიოდული შეხვედრების ფორმატში, უზრუნველყოფს მის ანგარიშგებას მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

სწორედ, ენერგეტიკული გაერთიანებასთან თანამშრომლობის ფარგლებში სენბის შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა ხორვატიის ელექტროენერგეტიკულ ბირჟის (CROPEX) და სერბეთის ელექტროენერგეტიკული ბირჟის (SEEPEX) გამოცდილებას.

ასევე, საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, მათ შორის მონაწილეთა სერტიფიცირების ნაწილში, სენბის თანამშრომლებმა გამართეს შეხვედრა ბულგარეთის დამოუკიდებელ ელექტროენერგეტიკულ ბირჟასთან (IBEX), მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის ბირჟის ოპერატორის მიერ მონაწილეებისთვის გამართულ სატრენინგო კურსში.

დღით ადრე ბაზარზე ელექტროენერგიის ვაჭრობა ხდება მომდევნო დღის ყოველი საათისათვის. არსებული მოდელისგან განსხვავებით, ბაზრის ახალი მოდელში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ოპტიმალური დაგეგმვა, მიმდინარე პოზიციის კონტროლი და შესაბამის ბაზრებზე ვაჭრობა. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, მიღებული პრაქტიკაა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება. საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაზე სიმულაციურ ვაჭრობაში რეგისტრირებული მონაწილეების ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟამ ორგანიზება გაუწია შეხვედრას, რომლის მეშვეობითაც მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომუშავე სერვისის მიმწოდებლებს, რომლებსაც აქვთ ანალოგიურ ენერგეტიკულ ბაზრებზე მუშაობის გამოცდილება და პროგრამული უზრუნველყოფა პორტფელების მართვის, წყლის შეფასების, ნომინაციებისა და განაცხადების განთავსების და სხვა მიმართულებით. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სერვისის 8 პროვაიდერმა.

გაფორმდა შეთანხმება ნორდ პულის აკადემიასთან, რომლის მიხედვითაც, სენბის მიერ შეთავაზებული სატრენინგო სესიების გარდა, ბირჟის წევრებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ნორდ პულ აკადემიის მიერ ორგანიზებულ კურსებში ექსკლუზიური პირობებით. უფრო მეტიც, შეთანხმებით ასევე გათვალისწინებულია, რომ სენბის შუამდგომლობით, ნორვეგიელი ექსპერტების მიერ შესაძლებელია დაორგანიზდეს სპეციალური კურსი, რომელიც სრულად მოერგება მონაწილეებს საჭიროებებს.

ნორდ პულ აკადემიის ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგში: „ფიზიკური და ფინანსური ენერგეტიკული ბაზრები“ მონაწილეობა მიიღეს როგორც ბირჟის წარმომადგენლებმა, ასევე მონაწილეებმა, რომლებმაც, სენბსა და ნორდ პულის აკადემიას შორის შეთანხმების შესაბამისად ისარგებლეს ფასდათმობით. სენბის მონაწილეების ფასდათმობით ასევე ისარგებლებენ ნორდ პულ აკადემიის მიერ ორგანიზებულ მომავალ ტრენინგებზეც.

დღით ადრე ბაზრის დანერგვისთვის 2022 წლის პირველ იანვრამდე განსახორციელებელი ღონისძიებები

2021 წლის 31 მაისის, საქართველოს მთავრობის #244 დადგენილებით დღით ადრე და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრების გახსნის თარიღები 2022 წლის პირველ იანვრამდე გადავადდა.

ბაზრის ოპერატორებმა შეიმუშავეს პირველი ივლისიდან პირველ იანვრამდე განსახორციელებელი აქტივობების ერთობლივი გეგმა, რომლის მიხედვითაც, ბირჟის ოპერატორი წლის ბოლომდე უზრუნველყოფს:

- ბაზრის მონაწილეებისთვის ტრენინგების ორგანიზებას;
- ინტენსიური საერთო სიმულაციური ვაჭრობების გამართვასა და შედეგების განხილვას მონაწილეებთან;
- ბაზრის მონაწილეების რეგისტრაციას;
- სავაჭრო წარმომადგენლების სერტიფიცირებას;
- ეფექტური ბაზრის ზედამხედველობისა და გამჭვირვალობის სისტემის დანერგვას;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, მათ შორის პარტნიორ ქვეყნებთან, ბირჟებთან, ორგანიზაციებთან, პროგრამებთან და პროექტებთან;
- ტრანსასაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობებზე მეზობელი ქვეყნების კოლეგა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას;
- მედია კამპანიის გაგრძელებას, ენერგეტიკის სექტორზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- სენბის გუნდის შესაძლებლობების გაძლიერებას.

საქართველო, ქ. თბილისი, 0102, კ. ხეთაგუროვის #36
+995 32 2 054588
mail@genex.ge